საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2581 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„სარკინიგზო გადაზიდვის ტარიფის გაანგარიშებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწონებისა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიების გატარების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ივნისის №1362 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სარკინიგზო გადაზიდვის ტარიფის გაანგარიშებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწონებისა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიების გატარების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ივნისის №1362 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაცია ჰაიდელბერგცემენტის ჯგუფში შემავალი კომპანიებისთვის (შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ (ს/კ: 230866435), შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“ (ს/კ: 204430400)), ამ

განკარგულების თანახმად გასაფორმებელი ხელშეკრულების შესაბამისად, 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 ივლისამდე სარკინიგზო გადაზიდვების ტარიფის გაანგარიშების, შესაბამისი კურსის დაფიქსირებისა და კურსთა შორის სხვაობის სახით, 2017 წლის 1 იანვრიდან გადახდილი თანხის სს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშზე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“/შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსის“ (ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები) აქტივის სახით ასახვის თაობაზე.“.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“, შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსსა“ და სს „საქართველოს რკინიგზას“ შორის 2017 წლის 29 აგვისტოს დადებულ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების გაფორმება, ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მიზნით.

3. დაევალოს სს „საპარტნიორო ფონდს“, უზრუნველყოს სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**